

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს

2018 წლის 28 მარტის

სხდომაზე განხილულ საკითხთა ნუსხა

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018 წლის სამოქმედო გეგმის განხილვა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის
ოქმიN1

ქ.ქობულეთი

28 მარტი 2018 წელი

სხდომა დაიწყო: 14-00 საათზე

დამთავრდა: 15-00 საათზე

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ლია შაქარიშვილი;

სხდომას ესწრებოდა: კომისიის წევრები: ლელა ვერულიძე, დავით მჭედლიშვილი, დავით წულუკიძე, მამია ჟორდანია, ავთანდილ ანანიძე, იოსებ ჟღენტი, ნარგიზ რომანაძე, ქეთინო ქათამაძე, გია მჭავანაძე, პაატა ცინარიძე, გიორგი ტაბიძე, ნინო თურმანიძე, მაია მგელაძე.

სხდომას არ ესწრებოდა: ნათია თხილაიშვილი, გიორგი გოგიტიძე, ვაჟა შავიშვილი, ვიტალი ქარცივაძე, ნაილე ლაზიშვილი, გურამ აბაშიძე, რომან მოწყობილი.

სხდომას ესწრებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში მარიამ ცეცხლაძე.

დღის წესრიგი:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018 წლის სამოქმედო გეგმის განხილვა.

(მომხსენებელი ლია შაქარიშვილი)

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სხდომის დღის წესრიგის წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018 წლის სამოქმედო გეგმის განხილვა - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ლია შაქარიშვილმა, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს 2018 წლის სამოქმედო გეგმა და დაასახელა შემდეგი სამოქმედო მიზნები:

მიზანი 1: საბჭოს მიერ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ქობულეთის მუნიციპალიტეტში;

მიზანი 2: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში გენდერული ანალიზის დანერგვა;

მიზანი 3: ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფა;

მიზანი 4: „საბჭოსა“ და მერიის ურთიერთთანამშრომლობა;

მიზანი 5: გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

მიზანი 6: ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობის გაზრდა, პროფესიული განვითარება და კარიერული წინსვლა;

თითოეული მიზანი კი თავის მხრივ მოიცავს განსახორციელებელ საკითხებს, განხორციელების გზებს, ინდიკატორებს, შემსრულებლებს და შესრულების ვადებს.

ლელა ვერულიძე დაინტერესდა რა ინსტრუმენტით ვდებულობთ სხვადასხვა ტიპის სტატისტიკას? ზოდადი სტატისტიკური მონაცემები მაინც ბუნდოვანია და მთლიანად მასზე დაყრდონა არ არგებს საქმეს.

ლია შაქარიშვილმა უპასუხა, რომ მუნიციპალურ დონეზე გენდერული სტატისტიკის მოპოვება მარტივია და დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. წერილობითი ფორმით მიმართვის შემდეგ შეგვიძლია მივიღოთ სკოლებში თუ სხვადასხვა დაწესებულებებში არსებული ინფორმაცია გენდერული მდგომარეობის შესახებ.

მამია ჟორდანია დაინტერესდა რას ემსახურება გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტი?

ლია შაქარიშვილმა განაცხადა, რომ გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტში გათვალისწინებული პროგრამები და პროექტები უნდა ემსახურებოდეს ორივე სქესის ინტერესებს. სამწუხაროა ის ფაქტი, რომ გენდერულ ბიუჯეტირებასთან დაკავშირებით ცნობიერების დონე დაბალია.

დავით მჭედლიშვილმა განაცხადა, რომ ცოტათი დაგვიანებულია 2018 წლის გეგმის დამტკიცება პირველი კვარტალის ბოლოსთვის და სამომავლოდ მუშაობა მეტი დატვირთვით მოგვიწევს. ასევე აღნიშნა, რომ კონკრეტულ სფეროებში წმინდა მამაკაცების უპირატესობაა და ქალების გააქტიურება უნდა მოხდეს ყველა კუთხით.

დავით წულუკიძე დაინტერესდა რა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს ლიდერ ქალთა გამოვლინება?

ლია შაქარიშვილმა განაცხადა, რომ სამოქმედო გეგმაში ამ ტიპის კრიტერიუმების გაწერა რეკომენდირებული არ არის. ლიდერ ქალთა აღმოჩენა უნდა მოხდეს მათთან შეხვედრებით, უნდა აღმოვაჩინოთ და გავიცნოთ ისინი. პირდაპირი კომუნიკაცია კი ამისთვის საუკეთესო საშუალებაა.

ლელა ვერულიძემ განაცხადა, რომ ქალთა ხელშეწყობა უნდა მოხდეს რეალურად და ამას არ უნდა ჰქონდეს ტრაფარეტული სახე. ძალიან ბევრი ლიდერი ქალი იჩაგრება საზოგადოების არაჯეროვანი დამოკიდებულების გამო. კვოტირება გენდერულ ჭრილში პარლამენტშიც კი არ მიიღეს, რადგან ცნობიერება ჯერ კიდევ დაბალია, როცა საუბარი იყო 25%-იან კვოტირებაზე. ამით არ მოხდა ქალების წახალისება. უნდა მოხდეს ქალების ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. არ უნდა ეგონოთ რომ მიდგომა მათ მიმართ მოჩვენებითია.

ლია შაქარიშვილმა განაცხადა, რომ სხვადასხვა არასამთვრობო ორგანიზაციები ინტენსიურად ატარებენ ტრენინგებს გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით. ტრენინგები უნდა ჩატარდეს ყველასთვის და არ უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ამ კუთხით დაინტერესებული ადამიანების მეტად გათვითცნობიერებას, არამედ ზოგადად ინფორმაციული და ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

კომისიის თავმჯდომარემ ლია შაქარიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი გენდერული თანასწორობის საბჭოს გეგმის განხილვა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

ლ. შაქარიშვილი